ახალგაზრდული ჯგუფები

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ბაზაზე 6 ახალგაზრდული ჯგუფი საქმიანობს: თბილისში, ხობში, ქუთაისში, ახალციხეში, წეროვანსა და აფხაზეთში.

ახალგაზრდული ჯგუფები ახალგაზრდულ სააგენტოსთან თანამშრომლობით ჩართულები არიან საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციისა და ახალგაზრდული სტრატეგიის შემუშავებაში.

659 თანასწორგანმანათლებელი 28 აქტივისტი 1545 მოხალისე

ახალგაზრებისა და სათემო ჯგუფების გაძლიერება

„ჰერა ოცდაერთი” ხელს უწყობს სათემო ჯგუფების გაძლიერებას, განვითარებას და ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

- **ახალგაზრდა ქალ დევნილთა სათემო ჯგუფი:** გალის რაიონში, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიასა და წეროვნის დევნილთა დასახლებაში ასოციაციის ინიციატივითა და მხარდაჭერით ფუნქციონირებს ადგილობრივ კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა სათემო ჯგუფები;
- „ჰერა ოცდაერთი” ხელს უწყობს ახალგაზრდა **აქტივისტი ლიდერების ჩამოყალიბებას** და მათ ჩართვას ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებსა და კამპანიებში. დღეისათვის **1000**-ზე მეტი მოხალისე და აქტივისტია ჩართული სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში, ახალგაზრდები იძენენ ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას და იუმჯობესებენ უნარებს სხვადასხვა მიმართულებით.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ინოვაციური დისტანციური სერვისები

ჰერა ოცდაერთის ქოლ-ცენტრის საშუალებით (ცხელი ხაზი: 0322 011 221) შესაძლებელია შემდეგი სატელეფონო და ონლაინ დისტანციური სერვისების მიღება:

- ექიმ-რეპროდუქტოლოგის კონსულტირება;
- სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებსა და ოჯახში ძალადობაზე იურიდიული კონსულტაცია;
- იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სოციალური მუშაკის კონსულტირება;
- ექიმი-რეპროდუქტოლოგის და იურიდიული კონსულტანტის ონლაინ კონსულტირების სერვისი ახალგაზრდებისთვის სერვისის მიღება შესაძლებელია პლატფორმაზე - *youth-counseling.ge*

კვლევები

სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები
მაღალი რისკ-ჯგუფები და მათთან დაკავშირებული საკითხები
ახალგაზრდები და ახალგაზრდული საკითხები
პოლიტიკის მიმოხილვები სრჯუ და სხვა საკითხებზე
საერთაშორისო მონიტორინგის ინსტრუმენტებისთვის წარდგენილი კვლევები/მოსაზრებები

ქსელები და პლატფორმები:

ASTRA
ჰერა HERA XXI
YSAFE Youth Sexual Awareness For Europe
IPPF European Network
EASTERN PARTNERSHIP Civil Society Forum
GHRN GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK

ქალთა და შშმ ქალთა საკოორდინაციო თანამშრომლობის პლატფორმა

Prevention Task Force

UNFPA-ის აღმ. ევროპისა და ცენტრ. აზიის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი

MISP SRHS WG

https://www.facebook.com/AssociationHeraXXI
https://www.instagram.com/hera_xxi_youth
https://twitter.com/assosiationhera

საკონტაქტო ინფორმაცია

თბილისი გამსახურდიას გამზირი, II კორპუსი,
შენობა 9, ბინა №2,
xxihera@gmail.com
+995 32 14 28 51; 032 20 11 221

H-HEALTH
E-EDUCATION
R-RIGHT
A-ALTERNATIVE

IPPF European Network

ჰერა HERA XXI

არასამთავრობო ორგანიზაცია ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“ 1998 წლიდან დღემდე აქტიურად მოღვაწეობს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში. კვლევითი საქმიანობა, მონიტორინგი, ადვოკატირება და ცნობიერების ამაღლება არის ძირითადი საქმიანობა პროგრამების იმპლემენტაციისთვის.

მისია

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი” მხარს უჭერს მოხალისეობრივ საქმიანობას და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების რეალიზებას,

ხედვა

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი” ისწრაფვის ისეთი დემოკრატირული და ჰარმონიული საზოგადოების შექმნისკენ, სადაც თითოეულ ადამიანს ხელი მიუწვდება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ყოვლისმომცველ განათლებასა და მაღალხარისხიან სერვისებზე და სადაც ყველა ადამიანის სექსუალური და რეპროდუქციული უფლება დაცულია.

HERA-YOUTH.GE

საქმიანობის მიმართულებები:

- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მაღალხარისხიან სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;
- სრჯუ-ს მიმართულებით, სოციალურ-ეკონომიკური და საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო ვალდებულებების იმპლემენტაციის ხელშეწყობა;
- მოხალისეების, აქტივისტებისა და ახალგაზრდების მობილიზებისა და ჩართულობის ხელშეწყობა;
- სათემო ჯგუფების ჩამოყალიბება და განვითარება.

მიზნობრივი ჯგუფები :

- მოზარდები და ახალგაზრდები (14-დან 25 წლამდე);
- სტუდენტები;
- სოფლად მცხოვრები გოგონები და ბიჭები;
- დევნილი და იძულებით გადაადგილებული პირები;
- სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი მოზარდები და ახალგაზრდები;
- საქართველოში მცხოვრები რეპროდუქციული ასაკის ქალები, მათ შორის ეთნიკური უმცირესობები, სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები.

ადვოკატირება

ადვოკატირება საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე: ასოციაცია იყენებს საერთაშორისო მონიტორინგის ინსტრუმენტებს CEDAW (ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია), ICCPR (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი); UPR (უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა), GREVIO (ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი); აქტიურად ახორციელებს ადვოკატირებას საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობისთვის.

ასოციაციას წვლილი შეაქვს ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებაში საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ კონკრეტული ინდიკატორების მიღწევის პროცესში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირებით, საერთაშორისო მონიტორინგის ინსტრუმენტების SDG-ებთან დაკავშირებით და საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების (მათ შორის, ნაირობის სამიტის დროს) განხორციელებით, სექსუალური და რეპროდუქციულ ჯანმრთელობის სერვისებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის, დედათა ჯანმრთელობის, ოჯახის დაგეგმვის და უსაფრთხო აბორტის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების, სრჯუ კუთხით ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების, ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის ადვოკატირებით და სრჯუსთან მიმართებაში, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ცნობიერებისა და მზაობის გაზრდის ხელშეწყობით.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრაცია პირველად ჯანდაცვაში

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი" ადვოკატირებს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრაციას პირველად ჯანდაცვაში, რაც უზრუნველყოფს სერვისების მიწოდებისას, ზრუნვას როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე ადამიანის სრული სიცოცხლის მანძილზე.

„ჰერა ოცდაერთის" საქმიანობა სექსუალური და გენდერული ნიშნით არსებული ძალადობის (SGBV) წინააღმდეგ

მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანა 5.6. ის ფარგლებში ასოციაცია ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის მიღწევას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანრთელობისა და უფლებების გაძლიერებით. ორგანიზაციას ყველა პროგრამულ მიმართულებაში - განათლების, საინფორმაციო, სერვისების, ადვოკატირების გათვალისწინებული აქვს ძალისხმევა ქალთა მიმართ და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა კრიზისული სიტუაციების დროს

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის MISP დანერგვის მიზნით ასოციაცია თანამშრომლობს და ადვოკატირებს სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელ დახმარების ცენტრა და UNFPA გაეროს მოსახლეობის ფონდთან, რათა ხელი შეუწყოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სტანდარტების უზრუნველყოფას იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაში.

გახდი მოხალისე და მიიღე:

- ✓ პროფესიული ზრდა
- ✓ სამუშაო გამოცდილება
- ✓ დასაქმების პერსპექტივა
- ✓ საზოგადოებრივი ცნობადობა

ფორმალური და არაფორმალური განათლება სრჯუ საკითხებზე

არაფორმალური განათლების სახელმძღვანელო „ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში"

საინფორმაციო საგანმანათლებელო სესიები

SELF ბანაკი

TOT -ტრენინგები თანასწორგანმანათლებლებისთვის

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან დამყარებული პარტნიორობის ფარგლებში ჩატარდა ბიოლოგიის, ბუნებისმეტყველებისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა და აღნიშნულის საფუძველზე შემუშავდა ადაპტირებული სტანდარტი ვებ-გვერდისთვის.

ახალგაზრდები

ასოციაცია "ჰერა ოცდაერთის" საქმიანობის წარმართვაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ახალგაზრდებს. ორგანიზაცია ხელს უწყობს ახალგაზრდა აქტივისტების ჩამოყალიბებას და მათ ჩართვას ორგანიზაციის საქმიანობაში.